№ 171

ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 171

ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ავლაბრის ბაზრის პირდაპირ.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—17)

---

ქ ა ლ ე ბ ი ს

## პროგიმნაზია

ელენე ბახტაძისა

## დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ და აგრეთვე წელს გახსნილ პირველ პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 28 აგვისტოდამ და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოიგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მან. წელიწადში. (5—123—3)

---

## ქ. ქუთაისში

(პუშკინის ქუჩაზე, ჰყონიას სახლში)

პირველ სექტემბრიდგან დაარსდება

**ქალების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი**

პროგიმნაზიის კურსით. მიმდინარე წელს გაიხსნება ორი მოსამზადებელი განყოფილება და პირველი პროგიმნაზიული კლასი. გადასახადი თითო მოსწავლეზე წელიწადში ორმოცი მანეთია.

საჭირო ცნობების მისაღებად მსურველთ უნდა მიჰმართონ ლიდია გრიგოლის ასულს ანჯაფარიძეს ან მარიამ იოსების ასულს ყაუხჩიშვილს. (5—6.—3)

---

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია **გომარეთის** სკოლის მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიჰმართოს გამგეობას. მასწავლებელს აქვს ჯამაგირად 360 მან., ბინა და შეშა მზა-მზარეული ექნება. (5—უ.—2)

---

კვირას, 22 აგვისტოს, დილის 10 საათზედ, მადათოვის კუნძულზედ მუხრან-ბატონის შენობაში დანიშნულია საზოგადო საგანგებო კრება

## „შრომის“

ხელოსანთა ამხანაგობისა.

საგანი კრებისა არის:

1, განხილვა და დამტკიცება წლიურის ანგარიშებისა.

2, არჩევნები გამგეობის წევრებისა და ზედამხედველ კომიტეტისა.

3) სახელოსნოს გაფართოება.

შევრთ ცალკე მოწვევის ბარათი არ გაეგზავნებათ. (3—120—2)

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი $7^1/_2$—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).


---

## მთავრობის განკარგულებანი.

—

ებრძათ კოლეჟსკი ასესორობა ტიტულიარნი სოვეტნიკს ტფილისის გუბერნიის თელავის ნაწილის ხარჯის ამკრებ ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს კახიძეს; გუბერნსკი სეკრეტრობა კოლეჟსკი რეგისტრატორს რაჭა-ლეჩხუმის ნაწილის ხარჯის-ამკრებ ინსპექტორის თანამდ. აღმასრულებელს ნოდიას. გადაყვანილ იქმნენ თიანეთის მაზრის უფროსი სტატსკი სოვეტ. ალექსი მესხიშვილი დუშეთის მაზრის უფროსად, ხოლო ტფილისის გუბერნიის საერო დარაჯთა ინსპექტორი პოლკოვ. თავ. ჩოლაყაშვილი—თიანეთის მაზრის უფროსად.

## ახალი ამბავი

—

** 10 აგვისტოს ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს ცნობები ქ. ტფილისის 1898 წლის ნამდვილ შემოსავალ-გასავლის შესახებ.

** ბაქოიდგან ტფილისში მოვიდა ადგილობრივის მთავრობის ბრძანება იმის შესახებ, რომ დროებით სამსახურისაგან განთავისუფლებული მკურნალები დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ სამსახურში. როგორც ისმის, ეს ბრძანება იმ საჭიროებას გამოუწვევია, რომ მიღებულ იქმნას დაუყოვნებელი ღონის-ძიებანი ქალაქში გადამდებ სენის საწინააღმდეგოდ.

** სამკურნალო დეპარტამენტს გამოუგზავნია ტფილისის გუბერნატორისთვის ახალი სააფთიაქო ნიხრი და ამასთან შემოუთვლია, რომ ყველა აფთიაქებში ჰწესდება ახალი სისტემის სასწორი და რომ ახალი ნიხრი განსაკუთრებულ განკარგულებამდე არ იქნება შემოღებული კავკასიაში.

** ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ წინადადება მისცა მოქალაქეთა მამასახლისებს, დაუყოვნებლივ

---

## ფელეტონი

—

**ს ა ჩ უ ქ ა რ ი**

(ი. პოტაპენკოსი)

მემამულის ოლზუხინის სახლ-კარმიდამოს გარს შემორტყმული ჰქონდა მაღალი ძველებური ქვის კედელი. ეს ადგილი განზედ იმყოფებოდა დიდის გზიდგან და მაზრაში ნაკლებად იყო ცნობილი. იშვიათად შემოდიოდა აქ რომელისამე მემამულის „ტარანტასი“, ანუ „ბრიჩკა“. იშვიათად მოდიოდნენ აქ. არავის არ იზიდავდა ეს ადგილი და მისი პატრონიც არას სწუხდა ამისათვის.

ოლზუხინი არ იყო ბუნებით განმარტოებულ ცხოვრების მოტრფიალე, მაგრამ დამოუკიდებელ ცხოვრების ხან-მოკლე გამოცდილებამ ის იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სხვებთან დაახლოვება არა ჰღირს, რომ ეს მხოლოდ მეტ ხარჯს იწვევს და სარგებლობა-კი აქედგან არაფერიაო. ამიტომაც გაურბოდა სხვებთან კავშირს, სცხოვრობდა მარტოდ და საკმაოდ სწრაფის ნაბიჯით უახლოვდებოდა იმ აზრს, რომლის განხორციელებაც ჰსურდა.

ოცდა-თხუთმეტის წლის კაცი იყო. ამ შვიდიოდე წლის წინად მან მამისაგან დაიმკვიდრა თავისი პატარა მამული, სულ რაღაც 600-ოდე დღიური. ეს მამული მეტის მეტად ეცოტავებოდა და დიდად ემდუროდა თავისს განსვენებულ მამას, რატომ მეტი ქონება არ შეიძინაო.

როცა ოლზუხინი მივიდა თავისს მამულში და გაიცნო მისი ავ-კარგიანობა, მაშინვე მტკიცედ გადასწყვიტა შეეძინა რაგვარი თანხა, გაეფართოებინა თავისი ქონება და შემდეგ არხეინად დაეწყო ცხოვრება. მაშინ ნაცნობებსაც გავიჩენო, ფიქრობდა ოლზუხინი, და ყველას დავუხვდები. მაშინ სხვებიც პატივს მცემენ, იმიტომ რომ კარგი მემამულე ვიქნებიო. მაშინ ცოლსაც შევირთავო.

როგორც წინ-დახედულმა კაცმა, ამ თავითვე დაიგულვა რამდენიმე საცოლო,—ასე სამიოდ-ოთხიოდე. ეს საცოლოები იმავე მაზრაში სცხოვრობდნენ და თითოეულს მათგანს ცოტა თუ ბევრი მამულიც ჰქონდა, მაგრამ იგი არც-კი სცდილობდა მათს გაცნობას, მხოლოდ შორიდგან უყურებდა და გუნებაში ინახავდა. გაცნობა საჭიროდ არ მიაჩნდა, რადგან ჯერ კიდევ მზად არ იყო და, გარდა ამისა, ისიც შესაძლებელი იყო, რომ იმ დროს, როცა ის მზად იქნებოდა, აღარც-კი მოსწონებოდა საცოლოები. ის იმ აზრისა იყო, რომ ძნელია მუდამ მოგწონდეს ადამიანიო.

მისის ანგარიშით, ოთხიოდე წლის განმავლობაში უნდა მილიონიერებული იყო. მისი თანხა იზრდებოდა და საკმაოდ სწრაფადაც იზრდებოდა. მან იქვე მეზობლად მიზანში ამოიღო ერთი ადგილი, რომელიც იმისს მამულს უნდა შეჰმატებოდა. ერთის სიტყვით, ყველაფერი მზად იყო, მხოლოდ ცოტაოდენი მოთმინება იყო საჭირო. ოთხი წელიწადი რა დიდი ვადა იყო, და საცოლოები კიდეც რომ გათხოვილიყვნენ, რაღა მაინცა და მაინც ყველანი გათხოვდებოდნენ, ერთი-ორი მაინც დარჩებოდა.

სცხოვრობდა ოლზუხინი მშვიდად და უშფოთრად თავისს სამკვიდრო მამულში და იწყობდა მომავალ ბედნიერებას. მაგრამ ამ ბოლო დროს ერთმა ამბავმა შეაშფოთა. ეს ამბავი, მართალია, სასიამოვნო იყო, მაგრამ მაზრისათვის და არა მისთვის. დაიწყეს მითქმა-მოთქმა, ხოლო უკანასკნელ თვეებში-კი ეს მითქმა-მოთქმა გამართლდა კიდეც,—რომ მაზრაში რკინის გზას გაყვანს აპირებენო. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო, რადგან რკინის გზის მეოხებით მხარე წამოცოცხლდებოდა და, მაშასადამე, წამოცოცხლდებოდა მემამულეთა იმედებიც, მათი დოვლათიც გაიზრდებოდა, მაგრამ საქმე ის იყო, როგორც გამოირკვა,—რომ ეს გზა ოლზუხინის მამულიდგან 17 ვერსის მოშორებით გაივლიდა და აი, ოლზუხინსაც სწორედ ეს გარემოება აწუხებდა. ვითომ რად უნდა გაიაროს გზამ 17 ვერსის მოშორებით? რად უნდა აუქციონ გვერდი ოლზუხინს. ხომ საკმაოა იმის წინ გზა და აი,— „სადგური ოლზუხინიც, მატარებელი სდგას სამ წუთს“.

რასაკვირველია, თავი და თავი ისკი არ არის, რომ კონდუქტორმა იძახოს „სადგური ოლზუხინი, მატარებელი სამ წუთს სდგასო“, არამედ ისა, რომ ამას დიდი სარგებლობა მოჰყვება. გვერდით რკინის გზა! ეს ხომ უბრალო საქმე არ არის! ამაზედ უკეთესი რაღა უნდა იყოს! ის, მართალია, ახლა დიდ საქმეებს-კი არ ატრიალებს, მაგრამ მომავლისათვისკი ყველაფერი გათვალისწინებული აქვს.

ოლზუხინი დაფაცურდა. მაზრაში საკმაოდ თვალ-საჩინო კაცი იყო ერობის გამგეობის წევრი ზუბასტოვი. ოდესღაც ის ოლზუხინის ამხანაგი იყო გიმნაზიაში, შემდეგ ისინი განშორდნენ ერთმანერთს რაღაც უცნაურ მიზეზის გამო. როცა ზუბასტოვი სტუდენტი შეიქნა, რუსული ხალათი ჩაიცვა და ხელში მსხვილი ჯოხი დაიჭირა, ამიტომ ოლზუხინმა წარმოიდგინა, ზუბასტოვი „ნიგილისტია“ და ამის გამო ჩვენი აზრები ერთმანეთს აღარ ეთანხმებაო. რადგან ოლზუხინს დიდი ხანია არ ენახა ამხანაგი, ამის გამო ის ისე ნიგილისტად მიაჩნდა.

ზუბასტოვი-კი ისეთი „ნიგილისტი“ იყო, რომ იმ რვა ათას დღიურ ადგილიდგან, რომელიც იმის მამას დარჩა, უკვე ორი ათასს ორასი დღიური შეჰქმნა, გლეხები ყელამდე ავსებულნი იყვნენ მისის ვალით და მთელი ზაფხული თითქმის მუქთად ჰმუშაობდნენ მასთან. აი როგორი ნიგილისტი იყო ზუბასტოვი.

ოლზუხინმა გაიგო ეს ამბავი, მაგრამ არ დაიჩქარა იმასთან წასვლა ისევ და ისევ იმ მოსაზრებით, რომ სხვებთან დაახლოვება არა ჰღირსო. მაგრამ ეხლა საბუთი ჰქონდა, ერთხელ ვითომ გავლით შეუხვია ზუბასტოვთან და განაახლა მასთან ნაცნობობა.

რასაკვირველია, რკინის გზის შესახებ ლაპარაკი არ გაუბავს. მხოლოდ ორიოდე სიტყვა ჩამოუგდო, ისე, სხვათა შორის.

მაგრამ ზუბასტოვი ამ ორიოდე სიტყვითაც მიხვდა საქმის ვითარებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰკრიბეთ მოქალაქეთა საზოგადოებაზედ დარჩენილი წინა წლების სახელმწიფო გარდასახადი, რომელიც 50,000 მანეთს უდრისო.

⁂ გუშინ, 11 აგვისტოს, ქალაქის გამგეობაში დანიშნული იყო იმ სასანიტარო კომისიის პირველი სხდომა, რომელიც არჩეულ იქმნა საბჭოს-მიერ ქალაქში შავის ჭირის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად.

⁂ განხილვა პეტრუშ მაკაროვის საჩივრისა მეტივეებზედ დანიშნულია 28 აგვისტოსათვის.

⁂ წყლის განსაცდელისაგან დამხსნელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: ამ დღეებში მტკვრისაგან წალებულ საბანაოს მაგივრად მომავალ წლის გაზაფხულზედ ააგოს ორი ახალი შენობა ცურვის სკოლისა და საბანაოს მოსათავსებლად.

⁂ ქალაქის გამგეობამ დაადგინა ასწიოს ცხვრის ხორცის ნიხრი 7 კაპეიკიდგან $8\frac{1}{2}$ კაპეიკამდე, ხოლო ძროხის ხორცის ნიხრი-კი (7 კ. გირ.) შეუცვლელად დასტოვოს. ეს დადგენილება 10 აგვისტოს დასამტკიცებლად წარუდგინა გუბერნიის მმართველს.

⁂ ფინანსთა სამინისტროს ამ წლის 13 ივლისს დაუმტკიცებია დ. ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წესდება.

⁂ 27 სექტემბრისათვის ოლქის სასამართლოს სისხლის-სამართლის 1-ლ განყოფილებაში დანიშნულია განსახილველად ივან ვასილიევისა, იაგორ თარხნიშვილისა და ბეგლარ ხოჯაშვილის საქმე, რომელთაც ისა ჰბრალდებათ, რომ მათ გასულ წლის დამლევს ქ. ტფილისში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, საზეინკლო სახელოსნოში, რომელიც პირველს მათგანს—ვასილიევს ეკუთვნოდა, მოსჭრეს ყალბი ოქროს 15 და 5 მანეთიანები, და აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი ვერცხლის ფული. ყველა ბრალდებულნი ამ ჟამად დაპატიმრებულნი არიან მეტეხის ციხეში. ამ საქმის თაობაზედ მიწვეულია სასამართლოში 27 კაცი.

⁂ როგორც ისმის, ტფილისის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ დამტკიცებულ იქმნას განსაზღვრული გარდასახადი ქ. ტფილისის ბაკებით სარგებლობისათვის, კავკასიის უმაღლესს მთავრობას გარდასაწყვეტად გადაუცია შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის.

⁂ ავჭალის ქუჩის სახლის პატრონთა თხოვნის გამო ქალაქის გამგეობა ამას წინად შეუდგა წყლის არხების გაყვანას სახლის პატრონთა ხარჯით. მაგრამ რადგან ზოგიერთ სახლის პატრონებს ამ საქმისათვის აქამდე არ წარუდგენიათ ფული, ამის გამო გამგეობა იძულებული შეიქმნა შეაჩეროს მუშაობა, ვიდრე სახლის პატრონები დაპირებულ ფულს არ შეიტანენ.

⁂ გორის მაზრის ს. სხლითის მცხოვრებთ კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის ფულით შემწეობის აღმოჩენა უთხოვნიათ იმ ზარალის გამო, რომელიც მათთვის სეტყვასა და ხანგრძლივს გვალვას მიუყენებია.

⁂ ფინანსთა სამინისტროს არ უცვნია შესაწყნარებლად ოზურგეთის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ამ გამგეობას უფლება მიეცეს აჰკრიფოს ქალაქის სასარგებლოდ იმ სავაჭრო მოწმობათა განსაკუთრებული გარდასახადი, რომელნიც ეძლევათ ოზურგეთის მაზრის ვაჭართ, ანუ მიეცეს ხსენებულ ქალაქს ფინანსთა სამინისტროსაგან დროგამოშვებითი შემწეობა აღნიშნულ მოწმობათა გაცემისათვის.

⁂ როგორც გაზ. „Сынъ От." იუწყება, ამა წლის შემოდგომაზედ კავკასიის მთავარ-მართებელი ადგილობრივ მოხელეებს მიანდობს კავკასიასა, ამიერ-კავკასიასა და იმიერ-კასპიის მხარეში შიდა რუსეთიდგან გადმოსულ რუსთა უკეთ მოწყობის და დასახლების საქმის შემუშავებას.

⁂ როგორც მოხსენებული გვქონდა, ტფილისის ქალაქის გამგეობამ აღუკრძალა „აბლაკატებს" თხოვნების შედგენა გამგეობის მთხოვნელთათვის. ამ ჟამად გამგეობას დაუდგენია მოიწვიოს თხოვნებისა და განცხადებათა შესადგენად განსაკუთრებული კაცი, რომელსაც თხოვნისა და განცხადების შედგენისათვის უნდა მიეცეს 10-დგან 20 კაპიკამდე; ხოლო რადგან გამგეობაში აუარებელი თხოვნები შედის, ამის გამო დადგენილ იქმნა დაიბეჭდოს ეს თხოვნები გამგეობის ხარჯზედ და მიეცეს მთხოვნელთ.

⁂ სამტრედიიდგან „ახ. მიმ"-ს სწერენ, რომ მეტად ხანგრძლივისა და დიდის გვალვის გამო სიმინდის მოსავალს ქუთაისის გუბერნიის უმეტესს ნაწილში საშუალოზედ ნაკლებს მოელიან, ხოლო ზოგან სიმინდი სრულიად გაფუჭებულა.

⁂ გუნდაეთი, (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს ქიათურის მახლობლად. აგერ რამდენიმე თვეა აქ მცხოვრებთა შორის მუცელაა გავრცელებული და ოჯახი არ არის, რომ ამ სენით რამდენიმე ავადმყოფი არ იწვეს. ავადმყოფობას ვინ ჩივლებდა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბევრნი იხოცებიან კიდეც ამ სენით და ყურადღების მიმქცევი-კი არავინ არის. მკურნალი გაწყდა ამ საცოდავებისათვის და მამასახლისი-კი ბაიბურშიაც არ იგდებს საერთო სატკივარსა და გაჭირვებას. ნუ თუ არავინ გამოუჩნდება პატრონად ამ დაბეჩავებულს ხალხს?!..

⁂ ტფილისის პოლიცმეისტრის თან-მდ. აღმასრულებელმა ბ-ნმა კოვალევმა უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, თვალ-ყური ადევნეთ, რომ სასმელების დუქნებში არამც და არამც არ იყოლიონ ნოქრებად და მოსამსახურეებად ისეთი ყმაწვილები, რომელთაც 21 წელიწადი არ შესრულებიათ, ხოლო ბაკებისა, დუქნებისა და სხვა ისეთის დაწესებულების მოსამსახურეებად, რომელთაც სატრაქტირო უფლება აქვთ, არ იყოლიონ ყმაწვილები, რომელთაც 18 წელი არ შესრულებიათ, და სასმელების სახლებსა, სარდაფებსა და ლუდხანებში, რომელთაც არა აქვთ სატრაქტირო უფლება,—ისეთი ყმაწვილები, რომელთაც 21 წელი არ შესრულებიათო.

⁂ 5 აგვისტოს ბაქოს ოლქის სასამართლოს დროებითს განყოფილებას განუხილავს საქმე კუსარის მცხოვრების იაგორ სუხორუკოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თავისის 9 წლის გერის მარიამის გაუპატიურება, და მიუსჯია ბრალდებულისათვის ყოველგვარ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ექვსის წლით კატორგაში გაგზავნა.

## წერილი საინგილოდან

სოფ. კოროღანი შესდგება ას-ოცი მცხოვრებისაგან, რომელთა შორის ნახევარი გამაჰმადიანებული ქართველია და ნახევარი მართლმადიდებელი ქრისტიანები. რადგან სოფელს მეტად დაცემული და ჭაობიანი ადგილი უჭირავს, ამიტომ აქ ზამთარ-ზაფხულ მძინვარეობს გამუდმებული ციებ-ცხელება, რომელიც ხალხს მუსრავს, და სიკვდილი აფერხებს ხალხის გამრავლებას. მიწის ნიადაგი საზოგადოდ მეტად ღონიერია, მაგრამ წრეულს-კი ყოველ გვარი ჭირნახული ერთობ ნაკლებია. პური და ქერი რაც დათესეს, ისიც ვერ მოუვიდათ გაზაფხულის გამუდმებულ წვიმების გამო და ხალხი ქიზიყიდგან მოტანილ პურით იკვებება. მაგრამ, რომ იტყვიან „ზოგი ჭირი მარგებელიაო", სწორეთ ასეა ქიზიყლების საქმე. გაიგეს თუ არა, საინგილო დაიმშაო, 75 კაპეიკის მაგივრად ფუთს ახლა 105—115 კაპეიკად ჰყიდიან; ხალხმა არ იცის რა ჰქნას, საღ წავიდეს პურის სასყიდლად. უწამლო ვენახები გაზაფხულის წვიმების წყალობით მილდიუმ და ნაცარმა ლამის მიწასთან გაასწორა. ნაწამლი ვენახები, ბრინჯი და ფეტვი გვალვამ სულ თუ არა, სანახევროდ მაინც წაახდინა. არ ახსოვს აქაურ მოხუცებულებს ასეთი გვალვა. სიცხე 28 ივლისამდე ჩრდილში 40 გრადუსამდე ადიოდა. 28 და 29 ივლისს საკმაოდ იწვიმა და ჰაერიც გაგრილდა ისე, რომ ახლა შეუძლიან კაცს თავისუფლად ამოისუნთქოს. კოროღანში, როგორც სხვა მახლობელ სოფლებში, ძალიან გახშირებულია ქურდობა და სახლების ცეცხლის წაკიდება. ღამე არ გაივლის ისე, რომ ვისმეს ცხენი ან კამბეჩი არ მოჰპარონ და ან სახლი არ გადუწვან. ქურდობა ჯერ აქ კიდევ სიმამაცედ მიაჩნიათ და სახლის გადაწვა ჯავრის ამოსაყრელად. კოროღანში 1889 წლიდგან არსებობს კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლა, მაგრამ ჯერ ჯერობით სკოლას საკუთარი შენობა არ აქვს და მოთავსებულია საკრებულო შენობაში. ახალი მასწავლებლის ბ-ნ ი. ლ—ძეს მეცადინეობით სკოლამ არა თუ პატარებს გოუღვიძა სწავლის სურვილი, არამედ დიდებიც კი აცხადებენ სწავლის სურვილს და სთხოვენ მასწავლებლებს, რომ საღამოობით ჩვენც შეგვასწავლეთ წერა-კითხვაო. სრული იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი ი. ლ—ძე ხალხის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. გაზაფხულზედ აქ მობრძანდა ბატონი ინსპექტორი ხსენებულ საზოგადოების სკოლებისა ე. მამინაიშვილი, რომე-

---

და იმასაც, თუ რას აეძულებინა ოლზუხინის სტუმრობა.

— დიახ, ბატონო, რკინის გზა განძია იმისათვის, ვისაც შეუძლიან მისი ისე გამოყენება, როგორც რიგია.

— რასაკვირველია, განძია,—უპასუხა ოლზუხინმა.

— დიახაც რომ განძია და, იცით, თქვენთვის ურიგო არ იქმნებოდა, რომ ცოტა თქვენის მამულისკენაც მიეჩოჩებინათ ეს გზა. რა სარგებლობა გექნებოდათ, ვერ წარმოიდგენთ. ჯერ ერთი, რომ ეს გზა სამაზრო ქალაქზედ გაივლის, სამაზრო ქალაქი შეერთებულია საგუბერნიო ქალაქთან, საგუბერნიო ქალაქი-კი—სხვა გზებთან. აბა, ერთი გაითვალისწინეთ....

— მაგას რაღა თქმა უნდა,—მიუგო ოლზუხინმა და ამასთან იფიქრა: „დალახვროს ღმერთმა! ეს, მგონი, განგებ მახელებს. განა არ ვიცი შვილოსა, რომ შენ თვითონ ისე გამოიყენე რკინის გზა, როგორც რიგია; განა თქვენ ყველამ არ გაიჩარხეთ საქმეები. აგერ გამგეობის თავმჯდომარემ მამჩინსკიმ თავისს ცხვირწინ არ გააყვანინა რკინის გზა, თუმცა მისი მამულიც მიუდგომელი იყო გზისათვის!.."

და რაკი მან ნათლად შეიგნო, რომ ზუბასტოვს შეუძლიან დახმარება აღმოიჩინოსო, დაუწყო მას თავზედ ქონის სხმა. გამოუცხადა მწუხარება იმის გამო, რომ იმდენი ხანია მათი ძველი მეგობრობა არ განახლებულიყო და დაიპატიჟა თავისას.

და აი ზუბასტოვიც ეწვია. თავდაპირველად მან, როგორც მემამულე კაცმა, მისი მამული მოიარა და მისმა საკმაოდ დიდმა ცხვირმა მაშინვე იგრძნო, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო იმ ადგილს რკინის გზის გაყვანას.

— აფსუსი არ არის ამოდენა მდინარე ტყუილად მიდიოდეს. აქ მშვენიერ წისქვილს გამართავს კაცი და ეს რკინის გზასთან ერთად დიდ ბედსა გწევს.

„მეც კარგად ვიცი, რა ბედსაც მწევს," იფიქრა ოლზუხინმა, მაგრამ ის ოხერი გზა რომ არსად არის!".

— ერთი მიბრძანეთ, ვისგან არის ეს დამოკიდებული?—პირდაპირ დაეკითხა იგი ბოლოს.

— ჰმ, მაგ კითხვაზედ პასუხის მიცემა ძნელია. ეგ თითქო არავისაგან არ არის დამოკიდებული.... უფრო-კი საქმის ვითარებაზედ ჰკიდია... ისე რაღა... ჰა, ჰა, ჰა.

— მაგრამ საქმის ვითარებას ხომ ადამიანები ჰქმნიან?

— რა თქმა უნდა, ადამიანები... აი აგერ ჩვენს თავმჯდომარეს, უპატივცემულესს ილია ივანეს ძესაც კინაღამ გვერდით აუხვია გზამ, მაგრამ მასთან ამ ჟამად ყოველ დღე ინჟენერები ქეიფობენ, რომლებიც გზის მიმართულებას იკვლევენ. ისინი, ხომ იცით, საუცხოვო მადის პატრონები არიან, „სმა-ჭამა დიდად შესარგი" უყვართ.

— და თავმჯდომარისაკენ გზის გაყვანა ველარაფერმა დააბრკოლა განა?

— ველარაფერმა.

— ჰმ, ახლა კი მივხვდი, სადაც ჰმარხია...

— დიახ, სწორედ მანდ ჰმარხია... ჰო-და თქვენც, ჩემო ძვირფასო მეგობარო, აქედგან უნდა დაიწყოთ. საჭიროა თავმჯდომარესაც კარგად დაუახლოვდეთ და ინჟენრებიც გაიცნოთ.

— რატომ, მე მაგის წინააღმდეგი არა ვარ...

— მაგრამ იცით, რა უნდა გითხრათ: როგორღაც ჩრდილში ხართ მიმალული. საჭიროა როგორმე თავი გამოიჩინოთ, წინ წამოდგეთ.

— როგორ თუ თავი გამოვიჩინო.

— ისე, როგორმე. უნდა განსაკუთრებული რამ ჰქნათ, რომ თქვენ შესახებ ლაპარაკი დაიწყონ გუბერნიაში, მაზრაში. ერთის სიტყვით, საფუძველი რამ უნდა იშოვოთ დასაყრდნობად.

— მზად გახლავართ, მხოლოდ რომ არ ვიცი როგორ!

— ძალიან ადვილად: განსაკუთრებული რამ უნდა მოიმოქმედოთ, დიადი რამ საქმე გააკეთოთ.

— რა დიადი საქმე?

— ისე, რაიმე საზოგადო საქმე, საზოგადოებისათვის სასარგებლო, გესმით თუ არა. ჰა, ჰა, ჰა.

— მერე და, რა შემიძლიან გავაკეთო საზოგადოებისათვის სასარგებლო.

— ეგ-კი თქვენი საქმეა. აი თუნდ სკოლა დააარსეთ, ან საკვირაო კითხვები, ან-კიდევ სხვა ასეთი რამე. არის ასეთი მოქალაქებრივი საქმეები. აგერ ჩვენმა თავმჯდომარემ სკოლა დააარსა და ის მაშინვე ანნაზედ წარადგინეს, ალბად მალე კიდეც მისცემენ. ჰო, ერთის სიტყვით, თქვენ თითონ გამოიგონეთ რამ, ჩვენ-კი კვირას თავმჯდომარესთან წავიდეთ. დილით მოდით ჩემთან... კვირას იმის ცოლის დღეობაც არის, ესეც ოპალია. ასე და ამ ნაირად, საზოგადო საქმე, საზოგადო!.. საჭიროა, რომ მაზრაშიაც, გუბერნიაშიაც, და იქაც, პეტერბურგშიაც, თქვენი სახელი ერთხელ მაინც ცოტა უფრო ხმა მაღლა გაისმას, ვიდრე სხვისი, და შემდეგ-კი, როცა თქვენ შესახებ ლაპარაკი ჩამოვარდება ხოლმე, ველარ იტყვიან, ვიღაც ოლზუხინიო, არამედ ყველა ასე იტყვის, ეს სწორედ ის ოლზუხინი გახლავთ, რომელმაც ესა-და-ეს საქმე გააკეთაო. ოღონდ გააკეთეთ რამ და ჩვენ მაშინვე წინ წამოგაყენებთ, გამოგაფენთ ყველას დასანახად, გაზეთშიაც-კი დავბეჭდავთ. გამგეობაში საკუთარი კორესპოდენტიცა გვყავს, ის მაშინვე კორესპონდენციას გამოაცხობს თქვენ შესახებ. აიო, შეხედეთო, რა გულ-შემატკივარი ადამიანი გაუჩნდა საწყალს ხალხსაო.

ზუბასტოვი წავიდა. ოლზუხინი კი ღრმად ჩაფიქრდა. რა უნდა დავაარსო ისეთიო? ფიქრობდა იგი. მან რაღაც საკვირაო კითხვები ძირჩია, მაგრამ ეს ხომ სადავიდარაბო საქმეა. მთლად მომიწამლავს სიცოცხლეს. ან-კი ვინ წაიკითხავს რასმე. მე ხომ არ დავიწყებ კითხვას? რა, ან ვის უნდა წავუკითხო? ტეტიებს თუ? ოო, ეს-კი მეტის-მეტი იქმნება! ისინი მაშინ პირველნი ჩამთვლიან სულელად. ან იქნებ სკოლა უნდა დავაარსო? ამაზედ-კი უკაცრავად. სადა მაქვს მაგის თავი? ჯერ სკოლა ააშენე, მერე მასწავლებელი დაიქირავე, იცოდვილე, შეინახე სკოლა და ახლა ვინ იცის, იქნებ ისიც-კი მოგთხოვონ, სკოლა სამუდამოდ უზრუნველ ჰყავიო. ოლზუხინმა ვერას გზით ვერ მოიგონა ისეთი საქმე, რომელიც საყურადღებოც ყოფილიყო, თვალ-საჩინოც და ამავე დროს არ მოეთხოვა მისგან არც გარჯა და არც ხარჯი.

—ელი.

(დასასრული იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც შეგირდების გამოცდამ დაარწმუნა, რომ სწავლის საქმე კარგს ნიადაგზედ არის დამყარებული და შემდეგშიაც კარგი მომავალი ოელის. იმედია, ბატონი ე. მამინაიშვილი თავისს დაპირებისამებრ იშუამდგომლებს სადაც ჯერ არს, რომ მომავლისთვის სკოლას საკუთარი შენობა აუგონ.

სოლომონ იოსავა

## წერილი ზაქათალიდგან.

31 ივლისს აქაურს მომრიგებელ-მოსამართლესთან გაირჩა ერთი საქმე, რომელიც საზოგადოებრივს ინტერესს მოკლებული არ არის. აი ამ საქმის გარემოება: წლეულს, აღდგომის მეორე დღეს, გასტეხეს სოფ. კახის წმ. გიორგის ეკკლესია, საიდგანაც გაიტანეს შვიდ თუმნამდე ფული. ეჭვი მიიტანეს ერთს ასალგაზდა ბიჭზედ, რომელიც წინა კვირაში მოსულიყო ამ სოფელში და კახის ბაზარში სცხოვრობდა. გაჩხრეკის დროს მართლა აღმოაჩნდა შვიდი თუმანი ფულად, დამალული სხვა-და-სხვა ადგილას; ზოგი უკან ახალუხზედ ჰქონდა მიკერებული, ზოგი საყელოში ჩაკერებული და სხვა. დამნაშავე რომ ეს ბიჭი იყო, ეს უფრო ეჭვს გარეშე შეიქმნა, როცა გამოცხადდა ამ ბიჭის ვინაობა: ის აღმოჩნდა სოფ. ვაქირის (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებელი, მოსე სოსანის ძე ხატიაშვილი, ანუ, როგორც ეძახიან სიღნაღის მაზრაში, სოსანას ბიჭი. ამ სოსანას ბიჭს ჰბრალდებოდა ამ რამდენისამე წლის წინად ვეჯინელის მღვდლის ქრისტესია ასათიანის მკვლელობა, რის გამოც ციხეშიაც იჯდა, მაგრამ გამართლებულა, მოსულა კახში, და აქ ეს საქმე ჩაიდინა. მოწმეების ჩვენებიდგან ჯერ გამომძიებელთან და მერე სასამართლოშიაც გამოაშკარავდა, რომ ხატიაშვილს ბაზარში მეჭედლებისათვის გასაღებები გამოეთხოვნებინა, ბევრს დაენახა, რომ ოცამდე სხვა-და-სხვა ნაირი გასაღები ჰკიდებოდა ქამარზედ, რომ დიდ მარხვის უკანასკნელ კვირაში ეკკლესიაში ყოველ დღე დადიოდა, შესვლა-გამოსვლის დროს ეკკლესიის კარის კლიტეს ჰსინჯავდა, ეკკლესიაში სანთლის გასასყიდ მაგიდასთან დგებოდა და ფულის უჯრას ათვალიერებდა და სხ. და სხ. მოპარვის შემდეგაც სიმთვრალის დროს ერთს ნაცნობთან გამოტეხილიყო და ეთქვა,—ბევრის იმედი მქონდა, მაგრამ ცოტა ფული დამხვდა ეკკლესიაშიო. ყველა ეს ფიცის ქვეშ დაამტკიცეს მოწმეებმა სასამართლოში 31 წარსულს ივლისს. მომრიგებელმა მოსამართლემ შახ პარონიანცმა ათის თვით დატუსაღება გადაუწყვიტა დამნაშავეს.

დამსწრე

# რუსეთი

როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, მომავალის წლის იანვრიდგან საერო განათლების სამინისტრო შეუდგება იმაწ არსებულ კანონებისა და წესების განხილვასა და გადათვალიერებას, რომელიც კერძო გიმნაზიების, პროგიმნაზიების, რეალურ სასწავლებლების და საზოგადო საშუალო, როგორც ვაჟთა, აგრეთვე ქალთა, სასწავლებლების დაარსებას შეეხება.

— ფინანსთა სამინისტროს წინაშე კომერსანტებს შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ შორეულ აღმოსავლეთის უფრო დასახლებულ ადგილებსა და დიდს ქალაქებში დაარსებულ იქმნას ცნობების შესაკრები და საბირჟო კანტორები, რომელთა შემწეობითაც რუსეთის ვაჭრებს შეეძლოთ ყოველთვის ადგილობრივ მაზრის მდგომარეობის და ამ მაზრების მოთხოვნილების გაგება. ასეთი კანტორები დიდს სამსახურს გაუწევს რუსეთის მრეწველობასაო, ნათქვამია შუამდგომლობაში.

— ამას წინად გამოცემულ ახალ სააფთიაქრო ნიხრით სამკურნალო წამლების ფასი ძალიან იქმნა დაკლებული. წინანდელ ნიხრთან შედარებით ეხლა წამლები 10% ნაკლები ეღირება.

— მომავალ სამოსწავლო წლიდგან ძალაში შედის საერო განათლების სამინისტროს განკარგულება, რომლის ძალითაც გარეშე ქალებს (არა გიმნაზიის მოსწავლეებს) ნება აქვთ ქალთა გიმნაზიის მერვე კლასში შევიდნენ ყურის-მგდებლად.

— რადგანაც გზათა სამინისტროს ძალიან ხშირად მისდის საჩივრები ახლად გასაყვან რკინის გზის მუშებისაგან, რომელნიც მოიჯარადრეებს უჩივიან, გვაწვალებენ და თავისს დროზედ სამუშაო ფულს არ გვაძლევენო, გზათა მინისტრმა დაავალა რკინის გზათა გამგეობებს, უფროსებს, კერძო გზების მთავარ ინჟინრებს და გზათა უწყების უფროსებს, დიდი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და საჭირო ზომები მიიღონ, რომ იჯარადარნი თავისს დროზედ აძლევდნენ ხოლმე მუშებს სამუშაო ფასს და საზოგადოდ არ ავიწროებდნენ ხოლმე მუშებს.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, გზათა მინისტრმა წინადადება მისცა რკინის გზების უფროსებს, დირექტორებს და მმართველებს შემოიღონ მატარებელთა მიმოსვლის ვადა საზამთროდ 15 ოქტომბრიდგან.

— საერო განათლების დეპარტამენტმა განმარტა, რომ პირველ-დაწყებით სასწავლებელთა მასწავლებლის წოდების მძებნელთ შემოკლებულ ეკზამენის მოხდის დროს უნდა მოეთხოვოთ რუსულ ენის მეთოდიკისა, წერისა და ართმეტიკის ცოდნაო.

— გაზეთების სიტყვით, ფინანსთა სამინისტრო ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭოს განსახილველად წარუდგენს პროექტებს საბაჟოთა წესდებისა და თამბაქოს გარდასახადის წესდების შესახებ.

— „ნოვოსტის“ სიტყვით რუსეთში სამეურნეო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების დამფუძნებელთ შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქმნას ამ საზოგადოების მიერ გამართული სამეურნეო საწყობები სხვა-და-სხვა გვარ გარდასახადისაგან. სხვათა შორის, ისინი იმასაც თხოულობენ, რომ უფლება მიეცეთ უბაჟოდ გამოიწერონ საზღვარ-გარეთიდგან ყოველგვარი სამოსწავლო საგნები და აგრეთვე განთავისუფლებულ იქმნას უცხო ქვეყნის ცენზურისაგან ის წიგნები, ხელნაწერები და დროგამოშვებითი სამეცნიერო გამოცემანი, რომელთაც საზოგადოება უცხო ქვეყნებიდგან გამოიწერს.

— უმაღლესად ნება დართულ იქმნა დააარსოს სამანუფაქტურო მრეწველობის დამხმარებელმა საზოგადოებამ საფეიქრო სასწავლებელი მოსკოვში. ამ სასწავლებელს საგნად აქვს მოამზადოს ოსტატები და სართავ და საფეიქრო ქარხნების მუშათა პირ-და პირი ხელმძღვანელები. სწავლის ვადა 5 წლიწადია. ვინც ამ სასწავლებელს დაამთავრებს და შემდეგ ოსტატის, ანუ ოსტატის თანაშემწისა და სხ. თანამდებობაში 10 წელიწადს დაჰყოფს, მიიღებს პირად საპატიო მოქალაქის უფლებას.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ანტისემიტთა ლიგის თავმჯდომარე—ჟიულ გერენი ჯერ ისევ კარ-ჩაკეტილია თავისს სახლში შაბროლის ქუჩაზე, რამდენიმე თავისი მეგობრით, და მთავრობას არ ჰნებდება. ეს იშვიათი მოვლენა სასაცილო სურათს წარმოადგენს არამც თუ სხვა ქვეყნებისათვის, არამედ საფრანგეთისათვისაც, სადაც სასეცხოვო ამბები მუდამ გამოულეველია. ზოგიერთ გაზეთების ნაამბობი თუ მართალია, „შაბროლის მეციხოვნე“, როგორც ამ ჟამად უწოდებენ გერენს, შეიძლება მართლა დიდ ხანს ვერ დაიმორჩილოს მთავრობამ, რომელსაც მოციქულების საშუალებით მოლაპარაკება აქვს გამართული მასთან, ვითარცა თანასწორ მეომართან. სახლი, რომელშიაც გამაგრებულია გერენი, გაზეთების სიტყვით, სრულებით მიუდგომელი ყოფილა: სახლის კედლებს 60 სანტიმეტრი ჰქონია სიგანე, კარებზე და ფანჯრებზე რკინის დარაბები ყოფილა აფარებული, სახლის სახურავზე გერენის შეიარაღებული კაცები დარაჯობენ. რაც შეეხება სურსათს და სხვა საჭირო მასალას, ეს იმდენი ჰქონებია გერენს, რომ ნახევარ წელიწადსაც ეყოფა თურმე: მაგალითად, ნავთი ჰქონია სარდაფში 1,200 ლიტრა (ლიტრა დაახლოებით ერთ გირვანქას უდრის), წყალი—15 ათასი ლიტრა, 2000 ბოთლი მადნეული წყალი, 600 ბოთლი ღვინო, 12 ათასი ლიტრა ანუ 900 ვედროზედ მეტი ღვინო და საკმაოდ შამპანსკი. ამასთანავე არც საომარს იარაღებსა და ტყვია-წამალში ჰქონია ნაკლულევანება; მაგალითად, ორი ბოჭკა სავსე ყოფილა თოფის წამლით და სხ.

—

**ინგლისი და საფრანგეთი.** ამ ორის კვირის წინად ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა, რომელმაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისსა და საფრანგეთს შორის, და ერთი მეორის მიმართ მიძინებული მტრობა ისევ გაუღვივა ორთავე სახელმწიფოს. აი საქმე როგორ იყო: ინგლისის სამხედრო გემმა „Leda“-მ შეჰნიშნა ლამანშში, ინგლისის წყლებში, საფრანგეთის სათევზაო გემი „L'Etoile de la Mer“. ინგლისელებმა დაჰკრეს დაუძახეს ფრანგებს და ნიშანი აჩვენეს გაჩერებულიყვნენ, მაგრამ ფრანგები არ გაჩერდნენ. მაშინ ინგლისელებმა შესაშინებლად მარტო წამლით გატენილი ზარბაზნები ესროლეს, მაგრამ ფრანგებმა მაინც არ გააჩერეს გემი. უკანასკნელად ინგლისელებმა ყუმბარა ესროლეს ფრანგებს და ერთი მატროსი მოუკლეს და ერთიც დაუჭრეს. ამ ამბავმა საშინლად აალელვა საფრანგეთის გაზეთები. როგორც ამბობენ, დეპუტატს მილევუას განზრახვა ჰქონია შეეკითხოს გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასეს, თუ რა დაკმაყოფილება და სასჯელი უნდა მიიღოს საფრანგეთმა ინგლისის მთავრობისაგან საფრანგეთის მატროსის მოკვლის გამო ინგლისის ფლოტის ოფიცრის მიერ.

—

**გერმანია.** „Daily News“-ს აუწყებენ ბერლინიდგან, რომ განერალ მერსიეს ჩვენება კაზიმირ პერიესა და გრაფ მიუნსტერის ერთმანეთთან ლაპარაკის შესახებ საქმის მაშინდელ მდგომარეობას სიმართლით ვერ ხატავსო. დრეიფუსის საქმის ისტორიაში არ ყოფილა ისეთი წუთი, როცა გერმანიის რომელიმე სახელმწიფო მოღვაწეს საფრანგეთთან ომი განეზრახოსო. გრაფ მიუნსტერის საქმეში ჩარევით რომ არა გამოსულიყო რა, კორესპონდენტის სიტყვით, მიუნსტერი იძულებული იქნებოდა პარიჟიდგან წასულიყო, მაგრამ გერმანიის საელჩოს მმართველად რწმუნებული კაცი დარჩებოდა. თავისის ელჩის წაყვანით პარიჟიდგან, გერმანიის მთავრობა მხოლოდ დაუმტკიცებდა საფრანგეთს, თუ რამდენად გულნატკენია იგი თავისი იმპერატორისა და ელჩის გახვევით დრეიფუსის საქმეშიო,—ამბობს კორესპონდენტი; ომის შესახებ არც იმპერატორი ჰფიქრობდა და არც სხვა ვინმე მისი მახლობელიო.

—

**სერბია.** როგორც ვიცით, შინაგან საქმეთა მინისტრი სამსახურიდგან გადადგა და მის ადგილას დანიშნულ იქმნა გიორგი გენჩიჩი, მილანის მახლობელი და ერთგული კაცი. აგრეთვე სამსახურს თავი დაანება ვაჭრობის მინისტრმაც, მაგრამ რადგან იმის ნაცვლად სანდო კაცი ვერ იშოვეს, ამ თანამდებობის ასრულება დროებით ჩაჰბარდა ფინანსთა მინისტრს ვუკაშინ პეტროვიჩს. გაზეთების სიტყვით, სამხედრო და გზათა მინისტრიც აპირებდნენ თურმე სამსახურისათვის თავის დანებებას, მაგრამ მათი თხოვნა არ შეუწყნარებია მთავრობას; ისინი ორივენი სამხედრო კაცები არიან, და მილანს, როგორც ჯარების მთავარ სარდალს, უბრძანებია მათთვის სამსახურში დარჩენა. გაზეთები ხმას ავრცელებენ, რომ დროებით ძალ და ძალ არის შეჩერებული, თორემ სერბიაში სამინისტრო კრიზისი აუცილებელია, ვლადან გეორგიევიჩს მობეზრდა ქვეყნის მართვა და უნდა როგორმე თავი გაინთავისუფლოს და პასუხისმგებლობა ეხლანდელ არეულ-დარეულ საქმეებში სხვას მოახვიოსო. ეს ხმები რამდენად მოკლებულია სიმართლეს, იქიდგან მტკიცდება, რომ ამ რამდენიმე დღის წინად ალექსანდრე მეფემ ერთს დეპუტაციას უთხრა, რომ მე ვენდობი გეორგიევიჩს და მის ამხანაგს და აზრად მაქვს ეხლანდელი წყობა-რიგი გამგეობისა დავიცვაო. მეფე თუ ენდობა ეხლანდელ მთავრობას, უთუოდ მისი მამა მილანიც ენდობა და, მაშასადამე, საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ სამინისტრო კრიზისი მოხდეს სერბიაში ამ ხანად.

## დამაკვირდი

ზნეობა ისწავლების ზნეობიანი კაცის მიერ და არა უზნეო მეცნიერისა.

ლასურიძე

* * *

უკეთუ გნებავს, მადლიც საქმედ კეთილისა, ვითარმედ: ცრემლნი გქონან—სინანული გაქუს, ლმობიერებაჲ გაქუს—დაცვაჲ გონებისაჲ გაქუს, მდაბლობაჲ გაქუს—სიწმიდე გაქუს.

გიორგი მთაწმინდელი

* * *

ნუმცა ვინ არს ურჩ, ნუმცა ვინ არს მდრტვინავ, ნუმცა ვინ არს ცუნდრუკ, ნუმცა ვინ არს მკირის მეტყუელ, ნუმცა ვინ არს ამპარტავან, ნუმცა ვინ არს კადნიერ, ნუმცა ვინ არს მტყუვან, ნუმცა ვინ არს მოცინარ, ნუმცა ვინ არს მოშურნე, ნუმცა ვინ არს შურის-მეძიებელ, ნუმცა ვინ არს მკდომ, ნუმცა ვინ არს უქმ, ნუმცა ვინ არს ცილის-მწამებელ, ნუმცა ვინ არს მომქმედ ბილწისა.

თეოდორე სტუდიელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ავსტრალიური გაზეთები იუწყებიან, კუნძულ სუვაროვის მახლობლად უპოვნიათ ერთ გვარი ზღვის გველი, ამ ჯიშის გველი დღემდის არავის უნახავს. გველი მკვდარი ყოფილა და ერთის გემის „ეტის“ უფროსს თან წაუღია ლონდონში ნაწილი ამ გველისა. ხსენებული გემი სიდნეისაკენ მიემართებოდა, როდესაც სუვაროვის კუნძულის ერთ ნაპირს მისდგომია, მაშინვე გემის უფროსთან მისულან კუნძულის მცხოვრებნი და უთქვამთ, ამა და ამ ადგილას წყალმა უზარ-მაზარი რვა-ფეხიანი ცხოველი გამორიყაო; ასეთი ცხოველი ჩვენ სიცოცხლეში არ გვინახავსო. გემი მაშინვე გაქანებულა ამ ცხოველისაკენ, მაგრამ მისვლისათანავე საშინელი სუნი სცემია,—გველი აყროლებულა და სუნი იმისაგან ყოფილა. მაინც ზღვაოსანთ წინა ნაწილი ამ ცხოველისა გემზედ აუთრევიათ და თან წაუღიათ. ცხოველის კანი მატყლით ყოფილა შემოსილი, თავი ცხენის თავს მიუგავს თურმე. თუ რამდენად უზარმაზარი ყოფილა ეს ზღვის გველი, იქიდგანა სჩანს, რომ მარტო თავი ამ ცხოველისა 60 ფუთს იწონის თურმე.

* * *

როგორც ერთი რუსული გაზეთი, სახელდობრ „Костр. Лист.“-ი, იუწყება, ამა წლის გაზაფხულზედ, სოფ. პოდვოლოჩნის გლეხის გოლიშევის შვილს, 17 წლის ქაბუკს, ტყეში მშიერ-მწყურვალს 12 დღემდე გაუძლია. გოლიშევი მახლობელ სოფელში ყოფილა სამუშაოდ. 30 აპრილს, მუშაობის გათავების შემდეგ, შინ დაბრუნებულა, მაგრამ გზად დიდი ტყე ამოურჩევია, რომელიც მოკლედ სჭრიდა თურმე გზას და პირდაპირ გადადიოდა გოლიშევის სოფელში. თან მგზავრს არც პური და არც სხვა რამ საჭმელი არ წაუღია. დედ-მამამ იცოდა, რომ იმათი შვილი 30 აპრილს უნდა მისულიყო შინ, მაგრამ, რადგან ამ დღეს და არც 1 და 2 მაისს ახალგაზდა გოლიშევი არსად გამოჩნდა, მათ ეს ამბავი პოლიციისთვის გამოუცხადებიათ. დედ-მამა და პოლიცია გოლიშევის ძებნას 5 მაისიდგან შესდგომიან თურმე, მაგრამ 12 მაისამდე ყოველსავე ძებნას უნაყოფოდ ჩაუვლია. მხოლოდ 12 მაისს, საღამოთი ერთს მაძებართაგანს პატარა ტბის მახლობლად უნახავს მოჭრილი ხე და იქვე მიწაზედ დათელილი ბალახი, თითქოს ვიღაც წოლილაო. 20 საჟენის სიშორეზედ ამ ადგილიდგან თვალი მოუკრავს მწოლიარე კაცისათვის. „დიმიტრი, შენა ხარ“-ო? უკითხნია. „მე ვარ“... ძლივს წარმოუთქვამს მწოლიარეს. შესდგომიან გამოკითხვას, მაგრამ ლაპარაკის თავი სრულიად აღარა ჰქონია; ხელები და ფეხები გაშეშებული ეჭირა თურმე. ძლივ ძლიობით უთქვამს თურმე, 12 დღეა მშიერი ვარ და 6 დღეა ამ მოჭრილ ხესთან ვწევარ. მესმოდა, რომ გზაზედ ხალხი დადიოდა, მაგრამ ხმის ამოღების არაქათი აღარა მქონდაო. გოლიშევს ფეხები წყალში ეწყო თურმე, გვერდით ედო ნაჯახი და დაკეცილი კოვზი; ხელებზედ ეტყობოდა, რომ ბალახი უღეჭია. გლეხებს მაშინვე პური მიუციათ, მაგრამ გოლიშევს ვერც ერთი ლუკმა ვერ ჩაუყლაპნია, რადგანაც ენა სულ აღარ შესძლებია. მაშინ პატარ-პატარა ნამცეცები მიუციათ და ისიც ძლივს გადაუყლაპნია თურმე. იმავე დღეს ნავში ჩაუსვამთ და სოფელში ჩამოუყვანიათ. სამი დღე ნამცეცებით უკვებნიათ, შემდეგ, როგორც იქმნა, გამაგრებულა და ჭამა ხეირიანად დაუწყია. როდესაც მოკეთებულა, უთქვამს, რომ

ტყეში გზა დამეკარგა, მთელი დღე-ღამე ხეტიალს მოუნდი, მაგრამ ვერაფერი გავაწყე. შემდეგ ისე დავიღალე, რომ ხის ქვეშ მივწექი და მაშინვე დამეძინაო. მესამე დღეს ხელ-ახლა შეუდექი ძებნას, მაგრამ უნაყოფოდ. სიმშილი საშინლად მტანჯავდა. პირველ ხანს ბალახსა ვჭამდი და წყალსა ვსვამდი. ბოლოს სიარულის არაქ თი გამომეცალა, დავწექი ხის ქვეშ და 6 დღე-ღამე აღარ ავმდგარვარო. ფეხები წყალში მედო. პირველ ხანს ხელით წყალს ვიღებდი და ვსვამდი, შემდეგ ესეც აღარ შემეძლო. სიცივე და სიმშილი ძალიან მაწუხებდა. ბოლოს გრძნობიერება სრულიად დავკარგე და ისე ვეგდე, რომ აღარაფერი აღარ მესმოდა და აღარც ვგრძნობდი რასმესაო.

***

ამერიკისა და ინგლისის გაზეთები ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ იმ საშინელ უბედურობის შესახებ, რომელიც გამოიწვია ვესტ-ინდიაში ამოვარდნილმა გრიგალმა. წყლები ნაპირს გადმოსცდენიან და დაუნგრევიათ რამდენიმე ქალაქი. სან ჟუანიდგან იუწყებიან, რომ ნავთსადგური არეციბო სრულიად დანგრეულა. უნახავთ 200-მდე დამრჩვალთა გვამი, 300 კაცი კიდევ მოსაძებნია თურმე. ქ. პონსის ოლქში დაღუპულთა რიცხვი უდრის 2000-ს. წყალს აუოხრებია აგრეთვე აჯუპტარისა და იაბუკოის ოლქები. დაღუპულთა რიცხვი ჯერ არ იციან. მეორე დეპეშა სან-ჟუანიდგან იუწყება, რომ იქ უკვე მოუძებნიათ 1000-ზედ მეტი გვამი. მარტო სან-ჟუანის ახლო-მახლო უსახლ-კაროდ დარჩენილა 6000 კაცი.

***

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატ ვისკონტინში გამოცემულ იქმნა ერთი ახალი კანონი, რომლის ძალითაც სახლიდგან გაქცეულ ახალგაზრდათ არ შეუძლიანთ ჯვარი დაიწერონ სადმე ამ შტატში. მოხერხებულმა ამერიკელმა ქალებმა ამ კანონსაც მალე მოუარეს და გამოსაძრომი უპოვნეს. ქალებს ჯვარის საწერ ადგილად ამოურჩევიათ მიჩიგანის კუნძულის მახლობლად მდებარე დაბა სანტ-იოსები. ეს დაბა მეორე შტატშია, მაგრამ ვისკონტინზედ ძალიან ახლოა, სულ ერთი თუ ორი საათის სავლელი გზაა. უკვე დაარსდა განსაკუთრებული სანავოსნო საზოგადოება, რომელსაც ჩიკაგოდგან სანტ-იოსებში გადაჰყავს ჯვარის საწერად და გამოჰყავს შეყვარებულნი. თვით დაბაში ააგეს ორი ახალი სასტუმრო ამავე შეყვარებულთათვის. ჯვარის დასაწერად არავითარი მოწმობა არ არის საჭირო, მხოლოდ ერთი დოლლარი, ე. ი. ორი მანეთი უნდა გადაიხადონ და მორჩა და გათავდა. ასე ადვილად აბერხებენ ამერიკელნი ყოველ გვარ საქმეს.

***

როგორც ერთი სამკურნალო ჟურნალი იუწყება, „აშლილ“ ნერვების დასაწყნარებლად საუკეთესო საშუალებაა ერთგვარი ვანნა, რომელიც ასე უნდა მომზადდეს: რამდენ ვედრო წყალსაც აიღებთ, იმდენი რვა მისხალი ნაშატირი უნდა აურიოთ შიგ. ვანნის ტემპერატურა 27—28° უნდა იყოს. შიგ ავადმყოფმა 5—10 წუთი უნდა დაჰყოს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 აგვისტო.

**ოპორტო.** გუშინ სამი კაცი გახდა ავად შავისჭირით. ორი გარდაიცვალა.

**რენი.** „ჰავასის სააგენტო“. 6 საათსა და 35 წუთზედ ლაბორი უკვე გამოცხადდა სასამართლოში. ხალხი მეტად მხურვალედ მიეგება. დრეიფუსმა ხელი ჩამოართვა. სასამართლოს თავმჯდომარემ სასამართლოს სახელით თავისი უკმაყოფილება განაცხადა ბოროტ-განმზრახველის მიერ ჩადენილ საქმის გამო და თავისი სიხარული იმის გამო, რომ ლაბორი ხელ-ახლა დაუბრუნდა საქმეს. აღელვებულმა ლაბორიმ ყველას მადლობა გამოუცხადა და სთქვა, იმედი მაქვს, საქმის განხილვა ჭეშმარიტებას გამოაშკარავებს, ასე რომ გადაწყვეტილება არავის უკმაყოფილებას აღარ გამოიწვევსო.

სასამართლომ გამოიხმო გრენიე, ბელფორში პრეფექტად ნამყოფი. გრენიემ შეაქო ჰკუა და ნასწავლობა ესტერგაზისა, მაგრამ ამასთან სთქვა, რომ იმას ბევრი არ უნდა მოეთხოვოსო. მოწმემ სთქვა, მახსოვს ესტერგაზიმ განაცხადა, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო.

გამოიხმეს დოლლენი 1897 წლის 30 ნოემბრის მოხსენების შესახებ ჩვენების ჩამოსართმევად. როგორც ამბობენ, ეს მოხსენება უცხო ქვეყნიდგან არის მოსული. ინციდენტი მოხდა. ლაბორიმ ჰკითხა მერსიეს, საიდგან ჩაგივარდათ თქვენ ხელში საბუთის ქაღალდიო? მერსიემ პასუხი არ მისცა, მხოლოდ შემდეგ განაცხადა, წარმოდგენილ თარგმანის პასუხისგებას მე ვკისრულობო. ლაბორიმ ჰკითხა შემდეგ მერსიეს, რა უფლებით დაინარჩუნეთ საბუთის ქაღალდი, როდესაც მინისტრად აღარ იყავით და რა უფლებით დაინარჩუნეთ აგრეთვე საიდუმლო dossier-ის სხვა საბუთის ქაღალდებიო. მერსიემ უარი სთქვა, პასუხს არ მიუგებო. ლაბორიმ შენიშნა, რომ უცრს მეუბნებიან და ოფიციალურად არ მატყობინებენ რასაცა ვკითხავო და დაუმატა, ამის გამო უფლება მაქვს მივიღო ყველა ის ზომები, რასაც საჭიროდ დავინახავო.

სამხედრო მინისტრის მდივნად ნამყოფმა ფერრემ განაცხადა, რომ როდესაც ერთხელ ბიუროში შევედი, იქ დრეიფუსი დამხვდა ვიღაც არა სამხედრო კაცთან ერთად. იმასთან დრეიფუსს მოლაპარაკება ჰქონდა იმ საბუთის ქაღალდის შესახებ, რომელიც მგონი ჯარს შეეხებოდა. დრეიფუსმა წინააღმდეგობა განაცხადა იმის გამო, რომ სამხედრო მინისტრად ნამყოფმა ასეთ ინსინუაციებს მიჰმართა.

პოლკოვნიკმა ბერტენმა განაცხადა, რომ დრეიფუსი ჩემი ხელ ქვეითი იყოო. მე ვერ გამეგო, სთქვა იმან, დრეიფუსს რად უნდოდა ცნობები რკინის გზების შესახებაო. შემდეგ ბერტენმა ილაპარაკა იმისა და შერერ-კესტნერის მოლაპარაკების შესახებ და სთქვა, შერერ-კესტნერმა ვერ დამარწმუნა, რომ დრეიფუსი უდანაშაულოაო. პიკარის შესახებ ბერტენმა სთქვა, რომ იმას ყოველთვის კეთილშობილ კაცადა ვსთვლიდიო. დრეიფუსის შესახებ კი ამასვე ვერ ვიტყვიო. სამინისტროში დრეიფუსს ყველა ისე ექცეოდა, როგორც ამხანაგს, იმის სარწმუნოებაზედ არავინ არაფერს ფიქრობდა და ყველა საიდუმლოს აჩვენებდნენ ხოლმეო. წაიკითხეს დრეიფუსის ატესტატები: ყველა ეს ატესტატები საუკეთესო გამოდგა, მხოლოდ სამხედრო შტაბი იხსენიებს დრეიფუსის ცოტა უსიამოვნო ხასიათს. ლაბორიმ მოაგონა ბერტენს ის სადილი, რომელსაც თვით ლაბორი და ბერტენი დაესწრნენ და რომელიც გამართულ იქმნა დრეიფუსის განსამართლების ორის კვირის შემდეგ. როდესაც ამ სადილზედ ლაბორიმ უთხრა, დემანჟე დარწმუნებულია, რომ დრეიფუსი უდანაშაულოაო, ბერტენმა მიუგო: „ნუ ლაპარაკობთ დემანჟის შესახებ, ის გერმანიის სალჩოს ვექილიაო!“ ამ სიტყვებმა ყველანი გააკვირვა.

პოლკოვნიკმა ჟანელმა განაცხადა, რომ 1894 წლის ივლისში დრეიფუსს მივეცი „სროლის სახელმძღვანელოო“. დრეიფუსმა შენიშნა, რომ ეს გერმანიის არტილერიის სროლის სახელმძღვანელო იყოო. მოწმემ სთქვა, არ მახსოვს, მართალია ესა, თუ არაო.

მაიორი მეტრი დაემოწმა ბულანჟეს ჩვენებას დრეიფუსის ნაცნობობის შესახებ. შემდეგ წაიკითხა წერილი ლემონიესი, რომელიც 1894 წელს მთავარ შტაბში იქმნა მიღებული. დრეიფუსმაო,—ნათქვამია წერილში,—უთხრა წერილის ავტორს, რომ ვიცი ზოგიერთი განზრახვა გერმანიის მთავარ-შტაბისა და ყურადღებას ვაქცევდი მიულგაუზენის მახლობლად ილლუმებსაო. დრეიფუსმა მიუგო, საჭირო არ იყო დამემალა ცნობები გერმანიის სამხედრო შტაბის განზრახვის შესახებ: ეს ისეთ საქმეს შეეხებოდა, რომელიც საფრანგეთის ყველა აფიცრებმა იცოდნენ რაც შეეხება ილლუმს, მე არ მინდა იმის შესახებ ლაპარაკი, რაც უკვე ბორეპერმა სთქვა:—ამას სახელი არცკი აქვს; მაგრამ მე მაკვირვებს ის, რომ აფიცერი სარგებლობს იმით, რაცა სთქვა მოწმემ, რომლის უზნეობაც აქვე იქნება დამტკიცებულიო. კრება დასრულდა 11 საათსა და 45 წუთზედ.

11 აგვისტო.

**პეტერბურგი.** 16 აგვისტოს შესრულდება ოცდა ხუთი წელიწადი მას შემდეგ, რაც დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე და დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული დაქორწინდნენ.


განცხადებანი

სასწავლებელი—პანსიონი

**ნ. დიდებულიძისა**

იმყოფება ხებხცეის ეკკლესიის ახლო, მადერის ქუჩაზე № 7, სადაც ღებულობენ ყმაწვილებსა (ქალებსა და ვაჟებს). ადრესის მიღება შეიძლება დიდებულიძის კანტორიდგანაცა, ბარიათინსკის ქუჩაზე № 2/8, ტელეფონი № 608. (1—125—1)


## წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისაგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნეობისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვარიშვილს (მომრიგებელ მოსამართლეს ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება. მხოლოდ ვინც მოსამზადებელი კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა მოშენება. მეფუტკრეობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა, და ჩილინგრობისა (სლესარობისა).

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთკარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირა-უქმეში კი სამი კერძი. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდგან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ-მამას აღარ დაებრუნებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, პირსახოცები, ბალიშის პირები ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა თექვსმეტი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკან. (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 6 ვაკ. (8 და 9 წლის ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 56 ვაკანსიიდგან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ერთი საზოგადოების სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები. გარდა დამფუძნებელობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულნი იქმნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქმნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის, შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი შემოსვლისთანავე და ათი იანვარში,

9) თხოვნების შემოტან შეიძლება აგვისტოს 25-მდის ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой на Лабораторной улицѣ въ д. Селикова.

10) აგვისტოს 26 და 27 რიცხვებში მოხდება ხელ მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28—31 მისაღები ეგზამენები.

1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქნებიან მიღებული აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1899/900 სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს, როგორც ფულის თავისს დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევაში.

Дозволено цензурою, Тифлисъ 11 го Августа 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.